„დამტკიცებულია“
ააიპ „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს
(ს/ნ 204874911)
წევრთა 2021 წლის 15 აგვისტოს
საერთო კრებაზე
(ცვლილებები და დამატებები გათვალისწინებულია
2023 წლის 23 დეკემბრის საერთო კრებით)

წესდება

ააიპ
„საქართველოს რაგბის კავშირი“

(ახალი რედაქცია)

თბილისი
2021წ.

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. პრეამბულა

1.1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საქართველოს რაგბის კავშირი“ (შემდგომში წოდებული „კავშირი“) (ს/ნ 204874911) დაფუძნებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და საკუთარი წესდების შესაბამისად.

1.2. კავშირი ცნობს მსოფლიო რაგბის ორგანიზაციის (World Rugby) პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს და თავის საქმიანობას წარმართავს World Rugby-ს პრინციპებისა და რეგულაციების შესაბამისად.

1.3. კავშირი აღიარებს გენდერული თანასწორობის პრინციპებს საქმიანობის ნებისმიერ ეტაპზე და მხარს უჭერს დისკრიმინაციის აკრძალვას. ამ მიზნით, უზრუნველყოფს გენდერულ თანასწორობას ქალებისა და გოგოების რაგბის სპორტულ დისციპლინაში მონაწილეობის გზით, მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებას, ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრას, ხელმისაწვდომობას რაგბის დისციპლინაზე, ცნობიერების ამაღლებასა და მათ კარიერულ წინსვლას. ასევე უზრუნველყოფს სხვა ქმედებების განხორციელებას რომელიც საჭიროებს გენდერული თანასწორობის პრინციპების დაცვას საქმიანობის განხორციელების დროს;

1.4. „საქართველოს რაგბის კავშირი“ არის საქართველოში რაგბის აღორძინების და განვითარების განმახორციელებელი ხელმძღვანელი ორგანიზაცია.

1.5. კავშირის ეს წესდება და კავშირის მიერ, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, მიღებული გადაწყვეტილებები სავალდებულოა შესასრულებლად კავშირის ყველა წევრისათვის.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესდების მიზნებისთვის, ქვემოთ მოყვანილი ტერმინები გამოიყენება შემდეგი მნიშვნელობით:

2.1. **კავშირი** - ა(ა)იპ საქართველოს რაგბის კავშირი.

2.2. **რაგბის კლუბი** - იურიდიული პირი, რომელიც საკუთარი სახელით მონაწილეობს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ნებისმიერ - არსებულ ან მომავალში შექმნილ ლიგაში და შედგება რაგბის გუნდის ან გუნდებისაგან. რაგბის ერთ კლუბად ჩაითვლება ასევე იურიდიული პირის სტატუსის მქონე ორი ან მეტი გუნდი, თუ ერთ-ერთი მათგანი მონაწილეობს მეორე გუნდის ან გუნდების მართვის უმაღლეს ორგანოში გადამწყვეტი ხმის უფლებით. რაგბის კლუბს შეიძლება გააჩნდეს, ბავშვთა ან/და ჭაბუკთა კლუბები/გუნდები ერთ ან რამდენიმე ასაკობრივ კატეგორიაში.

2.3. **რაგბის გუნდი** - იურიდიული პირი, რომელიც საკუთარი სახელით მონაწილეობს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ნებისმიერ ლიგაში, რომლის საქმიანობის საგანია მასთან პროფესიული ან სამოყვარულო კონტრაქტით დაკავშირებულ მორაგბეთა გუნდის სხვადასხვა ტურნირებში მონაწილეობა და, აგრეთვე, ყველა ის საქმიანობა, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამომდინარეს ძირითადი საქმიანობიდან და რომლის მიზანია, როგორც მოგების მიღება, ასევე რაგბის განვითარება თამაშის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების დაცვით. რაგბის გუნდები დაყოფილია ორ კატეგორიად: პროფესიული გუნდი და სამოყვარულო გუნდი.

2.3.1. **პროფესიული გუნდი** - აერთიანებს მორაგბეებს მათთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე და რომელშიც გაერთიანებულ მორაგბეთა 2/3 პროფესიონალია.

2.3.2. **სამოყვარულო გუნდი** - აერთიანებს რაგბის მოყვარულ მოთამაშეებს კონტრაქტის საფუძველზე, იმ განსხვავებით რომ მორაგბემ შეიძლება ძირითადი სამუშაოსგან დროებითი მოწყვეტისთვის მიიღოს მხოლოდ კომპენსაცია, ასევე სამივლინებო ხარჯები, ისე რომ უშუალოდ თამაშისთვის არ ღებულობდეს გასამრჯელოს. სამოყვარულოდ ითვლება გუნდი, რომელიც არ აკმაყოფილებს 2.3 პუნქტის გათვალიწინებულ პირობას.

2.3.3. **ესპუარები** - რაგბის კაცთა გუნდის მეორე გუნდი, საიდანაც კაცთა გუნდს შეუძლია მოთამაშის დამატება სატრანსფერო ფანჯრის გახსნის გარეშე.

2.3.4. **ქალთა გუნდი** - რაგბის ქალთა გუნდი, რომელიც საკუთარი სახელით მონაწილეობს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ქალთა ლიგაში, რომლის საქმიანობის საგანია მასთან პროფესიული ან სამოყვარულო კონტრაქტით დაკავშირებული ქალი მორაგბეების სხვადასხვა ტურნირებში მონაწილეობა.

2.4. **ა ლიგა** - ლიგა, რომელშიც თამაშობენ (17 წლიდან - 18 წლის ასაკის ჩათვლით) ჭაბუკთა შემადგენლობის გუნდები.

2.5. **ბ ლიგა** - ლიგა, რომელშიც თამაშობენ (15 წლიდან - 16 წლის ასაკის ჩათვლით) მოზარდთა შემადგენლობის გუნდები.

2.6. **ჭაბუკთა შემადგენლობის გუნდები - „ა ლიგა“;**

2.7. **მოზარდთა შემადგენლობის გუნდები - „ბ ლიგა“.**

2.8. **საშეჯიბრო ასაკი - „ა ლიგა“ და „ბ ლიგა“.**

2.9. **ბავშვთა გუნდი (საფესტივალო)** - გუნდი, რომლის მოთამაშეთა ასაკი არ აღემატება 14 წელს. ბავშვთა გუნდი შეიძლება იყოს 4 (ოთხი) ასაკობრივი კატეგორიის:

- 4 წლიდან - 8 წლის ასაკის ჩათვლით.
- 9 წლიდან - 10 წლის ასაკის ჩათვლით;
- 11 წლიდან - 12 წლის ასაკის ჩათვლით;
- 13 წლიდან - 14წლის ასაკის ჩათვლით;

მუხლი 3. კავშირის შესახებ

3.1. კავშირის სრული სახელწოდებაა **ააიპ „საქართველოს რაგბის კავშირი“**, ინგლისულად - **„Georgia Rugby Union“ NNLE.**

3.2. კავშირი წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომელსაც აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, განკერძოებული ქონება, საანგარიშსწორებო და სავალუტო ანგარიშები საქართველოს და საზღვარგარეთის საბანკო დაწესებულებებში.

3.3. კავშირი წარმოადგენს რაგბის სპორტის სახეობას როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. კავშირი უფლებამოსილია თავისი სახელით დადოს გარიგებები, შეიძინოს ქონებრივი, პირადი არაქონებრივი უფლებები და იკისროს მოვალეობები, იყოს მოსარჩელე ან მოპასუხე სასამართლოში.

3.4. კავშირს აქვს ბეჭედი თავისი სახელწოდებით, ემბლემით და ყველა საჭირო რეკვიზიტი.

3.5. კავშირის ადგილსამყოფელია: საქართველო, ქ. თბილისი, ჭაბუა ამირეჯიბის გზატ.№6, ნიშნული 6.00, საოფისე ფართი№3.

მუხლი 4. კავშირის მიზნები და ამოცანები

4.1.კავშირის მიზანია რაგბის პოპულარიზაცია და განვითარება საქართველოში.

4.2.კავშირი მოწოდებულია გააერთიანოს საქართველოს რაგბის მოყვარულების, პროფესიონალების, გუნდების, კლუბების და გულშემატკივრების ძალისხმევა ერთიანი მიზნების მისაღწევად.

4.3.კავშირის საქმიანობის მიმართულებებია:

ა) საქართველოს პირველობების და სხვა შეჯიბრებების რეგულარული და სათანადო დონეზე ჩატარება;

ბ) საერთაშორისო ასპარეზზე ქართული რაგბის ავტორიტეტზე ზრუნვა, მათ შორის, საერთაშორისო ასპარეზობების ჩატარება და მათში მონაწილეობა;

გ) ეროვნული ნაკრები გუნდის მომზადება;

დ) ბავშვთა და მოზარდთა რაგბის განვითარება და მასობრივი რაგბის დამკვიდრება დაწყებით და საშუალო განათლების სფეროში;

ე) რაგბის მწვრთნელების, მსაჯების და მოთამაშეების და რაგბში ჩართული სხვა სპეციალისტების (მაგ.მენეჯერების) პროფესიული დონის ამაღლებაზე ზრუნვა;

ვ) სარაგბო ინფრასტრუქტურის განვითარება;

ზ) რაგბის პოპულარიზაციისა და ხელშეწყობისთვის გრანტების გაცემა;

თ) სპეციალური ლიტერატურის გამოცემა;

ი) ქალთა რაგბის წახალისება და განვითარება;

კ) შვიდკაცა რაგბის განვითარება და პოპულარიზაცია;

ლ) სტუდენტთა რაგბის განვითარება;

მ) სამოყვარულო რაგბის განვითარება;

ნ) ქვიშის და თოვლის რაგბის განვითარება.

4.4.კავშირი უზრუნველყოფს მის მიერ დადგენილი კლასიფიკაციის და რეგულაციების მიხედვით რაგბის გუნდების მონაწილეობას შესაბამისი რანგის ეროვნულ პირველობებში.

მუხლი 5. კავშირის ხანგრძლივობა

5.1. კავშირი შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

მუხლი 6. კავშირის დამფუძნებელი წევრები

6.1. კავშირის დამფუძნებლები არიან:

6.1.1. შ.პ.ს. „ყოჩები“ - საიდენტიფიკაციო ნომერი 204869188, რეგისტრაციის №5/4-376, რეგისტრაციის თარიღი 07.12.1996წ.;

6.1.2. საზოგადოებრივი ორგანიზაცია - რაგბის კლუბი „უნივერსიტეტი“, რეგ.№5/8-57 რეგისტრაციისთარიღი 07.07.1997წ.;

6.1.3. შ.პ.ს. „გუმარი“ - საიდენტიფიკაციო ნომერი 204888194, რეგისტრაციის №5/4-783, რეგისტრაციისთარიღი 30.08.1996წ.;

6.1.4. ააიპ მიშიკო ქორიძის სახელობის ფონდი „ხულიგანა“, საიდენტიფიკაციო ნომერი 203835010, რეგისტრაციის №33/15, რეგისტრაციისთარიღი: 31.12.1998 (მიშიკოქორიძის სახელობის საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ხულიგანა“-ს (რეგ.08.05.1997წ., რეგ №11/15)

6.1.5. ქ. თბილისის განათლების სამმართველოს სპორტული გაერთიანების რაგბის ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზირებული სკოლა „ლელო“.

თავი II. კავშირის წევრები

მუხლი 7. კავშირის წევრების სტატუსი (კატეგორიები)

7.1. კავშირის წევრები არიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც აღიარებენ ამ წესდების პირობებს და იხდიან დადგენილ საწევრო შენატანს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
7.2. კავშირი შედგება ხმის უფლების მქონე და ხმის უფლების გარეშე წევრებისაგან.
7.3. კავშირის ყველა წევრი ვალდებულია დაემორჩილოს წინამდებარე წესდების, წესდების საფუძველზე მიღებული დებულებების მოთხოვნებსა და კავშირის მმართველი ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

მუხლი 8. კავშირის ხმის უფლების მქონე წევრი

8.1. კავშირის საერთო კრებაზე ხმის უფლებით სარგებლობენ მხოლოდ ხმის უფლების მქონე წევრები ამ წესდებით დადგენილი წესით და საქართველოს ვეტერან მორაგბეთა კავშირი (ს/ნ 204941055).
8.2. ხმის უფლების მქონე წევრები არიან რაგბის გუნდები, მათ შორის რაგბის კლუბის გუნდები, რომლებიც უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში უწყვეტად თამაშობენ ეროვნული პირველობის: (ა) უმაღლეს ლიგაში (დიდი ათი), (ბ) I ლიგაში, (გ) რეგიონალურ ლიგაში. უწყვეტ თამაშში მათ შორის, ჩაითვლება გარემოება, როდესაც გუნდი ტოვებს ამ პუნქტში მითითებულ ერთერთ ლიგას და აგრძელებს ასპარეზობას ამავე პუნქტის ა) ბ) ან გ) ქვეპუნქტებში მითითებულ რომელიმე ლიგაში.
8.3. გარდა ამ წესდებით პირდაპირ განსაზღვრული შემთხვევებისა, რაგბის კლუბს დამოუკიდებლად ხმის უფლება არ გააჩნია.
8.4. კავშირის საერთო კრების გადაწყვეტილებით, დასაშვებია კავშირის ხმის უფლების მქონე წევრად მიღებულ იქნან კავშირის მიერ ლიცენზირებულ პირთაგან შექმნილი სხვადასხვა კავშირები (გაერთიანებები, ასოციაციები, ფონდები და სხვა), გარდა „პროფესიული კავშირების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით შექმნილი პროფესიული კავშირებისა.
8.5. ხმის უფლების მქონე წევრს უფლება აქვს მინდობილობით საერთო კრებაზე წარმოადგინოს მხოლოდ სხვა ერთი ხმის უფლების მქონე წევრი.
8.6. ხმის უფლების მქონე წევრების სტატუსი განისაზღვრება კავშირის მიერ მათზე გაცემული ლიცენზიებით, რომელთა გაცემის წესი და ვადა დგინდება გამგეობის მიერ და არ აღემატება ერთ (1) წელს, თუ ამ წესდების 16.6. პუნქტით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

მუხლი 9. ხმის უფლების დადგენა და გამოყენება

9.1. კავშირის ხმის უფლების მქონე წევრთა სტატუსი დგინდება ყოველწლიურად, მორიგი საერთო კრების ჩატარებამდე ან/და ყოველი რიგგარეშე საერთო კრების მოწვევამდე (ასეთის შემთხვევაში).
9.2. საქართველოს ვეტერან მორაგბეთა კავშირი საერთო კრებაზე სარგებლობს ერთი ხმის უფლებით.
9.3. წინამდებარე წესდების 8.2. პუნქტში განსაზღვრული პირობებით და მითითებულ ლიგებიდან ერთ-ერთში რაგბის გუნდის მონაწილეობა უზრუნველყოფს ერთი (1) ხმის უფლებას საერთო კრებაზე.
9.4. დაუშვებელია ერთი (1) რაგბის კლუბის მიერ 8.2 პუნქტში მითითებულ პირველობებში ერთზე (1) მეტი კაცთა გუნდით მონაწილეობა.
9.5. თუ ეროვნული პირველობის უმაღლესი ლიგის (დიდი ათი) მონაწილე რაგბის გუნდს (კლუბს) ამავდროულად, სულ მცირე უწყვეტად 3 (სამი) წლის

განმავლობაში, ჰყავს საკუთარი მეორე გუნდი (ესპუარები) რომელიც მონაწილეობს ეროვნულ პირველობაში, აღიშნული უზრუნველყოფს კრებაზე დამატებით ერთ პრემიალურ ხმას.

9.6. რაგბის კლუბის გუნდები, რომლებიც უწყვეტად, მთელი სეზონის მანძილზე თამაშობენ ეროვნული პირველობის ჭაბუკთა ა) ან მოზარდთა ბ) ლიგებში და ამავდროულად ჰყავთ ბავშვთა საფესტივალო გუნდები ორ (2) ასაკობრივ კატეგორიაში, რომლებიც მონაწილეობენ კავშირის ეგიდით ჩატარებულ შესაბამისი ფესტივალების მატჩების 70%-ში მაინც, საერთო კრებაზე სარგებლობენ ერთი (1) ხმის უფლებით. იმ შემთხვევაში თუ ასეთი კლუბის გუნდები თამაშობენ ორივე ა) და ბ) ლიგებში და ყავთ ბავშვთა საფესტივალო გუნდები ოთხ (4) ასაკობრივ კატეგორიაში, რომლებიც მონაწილეობენ კავშირის ეგიდით ჩატარებულ შესაბამისი ფესტივალების მატჩების 70%-ში მაინც, საერთო კრებაზე სარგებლობენ ორი (2) ხმის უფლებით. ხოლო როდესაც ასეთი მონაწილეობა ხორციელდება 8.2. პუნქტში აღნიშნულ ლიგებში მონაწილე რაგბის კლუბის მიერ, აქ მითითებული ერთი (1) ან ორი (2)ხმა პრემიალურად დაემატება რაგბის კლუბის ხმებს.

9.7. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე გუნდმა ვერ ითამაშა რომელიმე ლიგაში მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, რომლის წინასწარ გათვალისწინებაც შეუძლებელი იყო, გუნდის ხმის უფლება დგინდება იმ უკანასკნელი ორი წლის მონაცემების გათვალისწინებით, როდესაც ასეთი მიზეზი არ არსებობდა.

მუხლი 10. ხმის უფლების შეწყვეტა

10.1 ხმის უფლების მქონე წევრს უფლებამოსილება უწყდება, მის მიერ ეროვნულ პირველობაში (პირველობებში) მონაწილეობაზე უარის თქმის შემთხვევაში.

მუხლი 11. კავშირის ხმის უფლების არმქონე წევრები

11.1. ხმის უფლების გარეშე წევრები არიან ეროვნული პირველობის კაცთა, ა) და ბ) ლიგაში მონაწილე ან/და საფესტივალო გუნდები რომლებიც, ამ წესდების 9.6 პუნქტის შესაბამისად, არ სარგებლობენ ხმის უფლებით საერთო კრებაზე.

11.2. საერთო კრებაზე ხმის უფლების გარეშე დასწრების უფლება აქვთ ამ წესდების მე-6 მუხლში მითითებულ დამფუძნებელ წევრებს.

11.3. საერთო კრებაზე კავშირის საპატიო წევრებს არ აქვთ ხმის უფლება.

მუხლი 12. კავშირის საპატიო წევრი

12.1 განსაკუთრებულ შემთხვევაში, გამგეობის წარდგინების საფუძველზე, პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, კავშირის საპატიო წევრებად შეიძლება მიღებულ იქნან ფიზიკური პირები, რომელთაც დიდი ღვაწლი მიუძღვით საქართველოში რაგბის განვითარებასა და პოპულარიზაციაში. საპატიო წევრების დანიშვნა არის უვადო.

12.2 კავშირის საპატიო წევრები თავისუფლდებიან საწევრო გადასახადისგან. პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, მათ შეიძლება დაუწესდეთ სხვა პრივილეგიებიც.

12.3 კავშირში გაწევრიანებისას, საპატიო წევრი სრულად ეთანხმება და აღიარებს კავშირის წესდებას, რასაც ადასტურებს განცხადებით.

მუხლი 13. კავშირის წევრობის შეწყვეტა

13.1. კავშირიდან გასვლა ნებაყოფლობითია.

13.2.მხოლოდ საერთო კრებას აქვს უფლება, საკუთარი ინიციატივით ან/და პრეზიდენტის წარდგინებით, შეუწყვიტოს უფლებამოსილება კავშირის წევრებს ამ წესდებით განსაზღვრულ შემთხვევებში, მათ შორის:

13.2.1. ნებაყოფლობით წევრის განცხადების საფუძველზე; იურიდიული პირის შემთხვევაში - იურიდიული პირის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის წერილობითი განცხადების საფუძველზე (თანდართული იურიდიული პირის უფლებამოსილი ორგანოს/პირის მიერ დადგენილი წესით მიღებული გადაწყვეტილება კავშირის წევრობიდან გასვლის თაობაზე); ასევე იურიდიული პირის ლიკვიდაციის შემთხვევაში;

13.2.2. ფიზიკური პირი წევრის გარდაცვალების შემთხვევაში;

13.2.3. ცნობილი გახდა ისეთი გარემოების არსებობა, რომელიც შეუსაბამოა წევრის კავშირში წევრობასთან ან/და რომელიც გამოიწვევდა ამ წევრის კავშირში გაწევრიანებაზე უარის თქმას;

13.2.4. ისეთი საქმიანობის განხორციელებისას, რომელიც ეწინააღმდეგება კავშირის მიზნებს;

13.2.5. წესდებითა და კავშირის მიერ მიღებული აქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების უხეშად დარღვევის შემთხვევაში;

13.2.6. ისეთი ქმედების განხორციელებისას, რომელიც ლახავს ან სერიოზულ საფრთხეს უქმნის კავშირის რეპუტაციასა და ავტორიტეტს;

13.2.7. ზიანს აყენებს ან ქმნის კავშირის ქონებისადმი ზიანის მიყენების სერიოზულ საფრთხეს;

13.2.8. სხვა ისეთი მნიშვნელოვანი გარემოებების არსებობის შემთხვევაში, რომელთა შეფასების შემდეგ, საერთო კრება მიზანშეწონილად მიიჩნევს წევრობის შეწყვეტას.

თავი III.კავშირის საერთო კრება

მუხლი 14. კავშირის საერთო კრების შემადგენლობა

14.1. კავშირის მართვის უმაღლესი ორგანოა კავშირის საერთო კრება (ყრილობა), რომლის წევრთა არანაკლებ სამ მეოთხედს წარმოადგენდნენ სპორტული ორგანიზაციები, მათ შორის რაგბის გუნდები და კლუბები.

მუხლი 15. კავშირის საერთო კრების უფლებამოსილებები

15.1. საერთო კრება უფლებამოსილია:

ა) შეიტანოს წესდებაში ცვლილებები და დამატებები;

ბ) დაამტკიცოს კავშირის წლიური ბიუჯეტი;

გ) განსაზღვროს კავშირის წლიური ბიუჯეტის პრიორიტეტული მიმართულებები;

დ) აირჩიოს და დაამტკიცოს გამგეობის მხოლოდ ის წევრები, რომელთა არჩევა და დამტკიცება საერთო კრების კომპეტენციას განეკუთვნება;

ე) აირჩიოს კავშირის პრეზიდენტი;

ვ) მოისმინოს გამგეობისა და პრეზიდენტის წლიური ანგარიში;

ზ) გადაწყვიტოს კავშირის ლიკვიდაცია და დანიშნოს ლიკვიდატორები;

თ) განსაზღვროს საქართველოში რაგბის განვითარების პოლიტიკა.

მუხლი 16. კავშირის საერთო კრება

16.1. კავშირის მორიგი საერთო კრება მოიწვევა კავშირის პრეზიდენტის მიერ საჯარო განცხადებით, გამგეობასთან შეთანხმებით, სულ მცირე წელიწადში ერთხელ არაუგვიანეს მიმდინარე წლის ოცდახუთი (25) დეკემბრისა.

16.2. მოწვევის შესახებ საჯარო განცხადება გაკეთდება სპორტული პრესის მეშვეობით და ამავდროულად განთავსდება კავშირის ოფიციალურ ვებგვერდზე. განცხადება უნდა შეიცავდეს მონაცემებს საერთო კრების მოწვევის ზუსტი თარიღის (თვე, რიცხვი და საათი, რომელიც არ უნდა იყოს განცხადების გამოქვეყნების დღიდან 20 (ოცი) კალენდარულ დღეზე ნაკლები), ადგილისა (მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე) და კრების დღის წესრიგის შესახებ. დღის წესრიგში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა შესაძლებელია განხორციელდეს საერთო კრების მოწვევის უფლების მქონე პირების მოთხოვნის საფუძველზე, მოწვევის შესახებ განცხადების გაკეთებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში. შეცვლილი და განახლებული დღის წესრიგით კრების მოწვევის შესახებ განცხადება უნდა გამოქვეყნდეს ამ პუნქტში დადგენილი წესით.

16.3. საერთო კრებაზე ხმის უფლებით სარგებლობენ მხოლოდ კავშირის ხმის უფლების მქონე წევრები. ხმის უფლების გარეშე საერთო კრების მსვლელობაში უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ კავშირის დანარჩენ წევრებს, პრეზიდენტს, აღმასრულებელ დირექტორს, გამგეობის წევრებს და დირექტორებს.

16.4. საერთო კრებას თავმჯდომარეობს გამგეობის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას, გამგეობის გადაწყვეტილებით, ერთ-ერთი წევრი. საერთო კრების მსვლელობაში კონსულტანტის სტატუსით მონაწილეობენ საპატიო წევრები.

16.5. საერთო კრება ითვლება გადაწყვეტილებაუნარიანად, თუ მასზე წარმოდგენილია კავშირის ხმის უფლების მქონე წევრთა სულ ცოტა 2/3ი მაინც.

16.6. ხმის უფლების მქონე წევრთა ხმების დამტკიცება ხდება გამგეობის მიერ, სულ ცოტა წელიწადში ერთხელ, მორიგ (მათ შორის რიგგარეშე) საერთო კრებამდე ოცი (20) დღით ადრე, ხოლო ხმის უფლების მქონე წევრთა ხმების დამტკიცებული ნუსხა თან ერთვის საერთო კრების მოწვევის საჯარო განცხადებას.

16.7. გადაწყვეტილებები საერთო კრებაზე მიიღება დამსწრე ხმის უფლების მქონე წევრთა უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება მეტი ხმის უფლების მქონე სუბიექტების ხმებს, ან ასეთის არარსებობის შემთხვევაში, ხმების დათვლა ხორციელდება გამგეობის მიერ დამტკიცებული ვარსკვლავების სისტემის მიხედვით. გადაწყვეტილება კავშირის რეორგანიზაციის ან/და ლიკვიდაციის შესახებ მიიღება დამსწრე ხმის უფლების მქონე წევრთა 4/5-ის უმრავლესობით, პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი უკანასკნელად დამტკიცებული ხმის უფლების მქონე წევრთა საერთო რაოდენობის 3/4-ის უმრავლესობით, ხოლო კავშირის მიზნის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება უკანასკნელად დამტკიცებული ხმის უფლების მქონე წევრთა საერთო რაოდენობის 4/5-ის უმრავლესობით.

16.8. საერთო კრების ჩატარება არ არის აუცილებელი, როცა ყველა ხმის უფლების მქონე პირი (რომელთა ბოლო სიითი შემადგენლობა საერთო კრების ჩატარებამდე დადგენილია გამგეობის მიერ) წერილობით დაეთანხმება დღის წესრიგით განსახილველ საკითხს. ასეთი წერილობითი თანხმობები კრების ოქმის ტოლფასია, ითვლება კრების გადაწყვეტილებად და აქვს იურიდიული ძალა, თუ ის დამოწმებულია სანოტარო წესით.

16.9. იმ შემთხვევაში თუ კავშირის საერთო კრება ფორსმაჟორული გარემოების გამო ვერ ჩატარდა ან გადაიდო, საერთო კრება მოიწვევა (ჩატარდება) ასეთი გარემოების აღმოფხვრის შემდეგ. გამონაკლისის სახით შესაძლებელი ფორსმაჟორული გარემოების პერიოდში, საერთო კრების მოწვევა ელექტორნული კომუნიკაციის საშუალებით, რომელსაც უნდა ესწრებოდეს და ოქმს ადგენდეს ნოტარიუსი.

მუხლი 17. კავშირის რიგგარეშე საერთო კრება

17.1. ხმის უფლების მქონე წევრებს, რომლებიც, ბოლო საერთო კრების წინ დამტკიცებული ხმების რაოდენობის პროპორციულად, წარმოადგენენ საერთო რაოდენობის 1/4-ს, ან რომელთა ხმები ბოლო საერთო კრებაზე შეადგენდა არანაკლებ 25%-ს, უფლება აქვთ მოითხოვონ რიგგარეშე საერთო კრების მოწვევა.

17.2. რიგგარეშე კრების მოწვევის უფლება, ასევე, აქვთ კავშირის პრეზიდენტს და გამგეობას.

17.3. კავშირის რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის დროს გამოიყენება ამ წესდების მე-16 მუხლით საერთო კრების მოწვევისთვის დადგენილი წესები.

მუხლი 18. კავშირის განმეორებით საერთო კრება

18.1. თუკი არ შედგა 16.5 პუნქტით განსაზღვრული კვორუმი, მოიწვევა განმეორებითი საერთო კრება იმავე დღის წესრიგით არშემდგარი კრების დღიდან არაუადრეს ათი (10) და არაუგვიანეს ოცდაათი (30) დღისა, რომელიც უფლებამოსილია თუ მასზე იქნება წარმოდგენილ ხმის უფლების მქონე წევრთა ხმების უმრავლესობა (სულ ცოტა ორმოცდაათ (50) %-ზე მეტი).

18.2. განმეორებით საერთო კრებაზე გადაწყვეტილება დღის წესრიგით განსაზღვრულ ყველა საკითხზე მიიღება დამსწრე ხმის უფლების მქონე წევრთა უმრავლესობით.

18.3. იმ შემთხვევაში, თუ განმეორებით მოწვეულ კრებაზეც ვერ შედგა კვორუმი, განმეორებით კრების დღიდან არაუადრეს ათი (10) და არაუგვიანეს ოცდაათი (30) დღისა, იმავე დღის წესრიგით მოიწვევა მესამე კრება, რომელიც უფლებამოსილია თუ მასზე იქნება წარმოდგენილი ხმის უფლების მქონე წევრთა ხმების სულ ცოტა 25 %-მეტი მაინც.

თავი IV. გამგეობა

მუხლი 19. გამგეობის შემადგენლობა

19.1 გამგეობა შედგება ცამეტი (13) ხმის უფლების მქონე წევრისგან, კერძოდ:

19.1.1. გამგეობის ხუთი (5) წევრი აირჩევა საერთო კრების მიერ ოთხი (4) წლის ვადით. აღნიშნული ვადის გასვლისას, გამგეობის წევრებს უფლებამოსილება უნარჩუნდებათ საერთო კრების მიერ ახლად არჩეული გამგეობის შემადგენლობის *„მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში“ რეგისტრაციამდე.*

19.1.2. გამგეობის ხუთი (5) წევრი წარმოდგენილია პრეზიდენტის მიერ, რომლებიც მტკიცდება საერთო კრების მიერ ოთხი (4) წლის ვადით. აღნიშნული ვადის გასვლისას, გამგეობის წევრებს უფლებამოსილება უნარჩუნდებათ საერთო კრების მიერ ახლად არჩეული გამგეობის შემადგენლობის *„მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში“ რეგისტრაციამდე.*

19.1.3. კავშირის მოქმედი პრეზიდენტი.

19.1.4. კავშირის აღმასრულებელი დირექტორი.

19.1.5. ერთი (1) წევრი, წამოდგენილია რაგბის კავშირის აჭარის ხმის უფლების მქონე წევრი სუბიექტების უმრავლესობის მიერ და მტკიცდება საერთო კრების მიერ ოთხი (4) წლის ვადით. აღნიშნული ვადის გასვლისას, გამგეობის წევრს უფლებამოსილება უნარჩუნდება საერთო კრების მიერ ახლად არჩეული გამგეობის შემადგენლობის *„მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში“ რეგისტრაციამდე.*

19.2 აღმასრულებელი დირექტორი, რომელიც ერთპიროვნულად ინიშნება კავშირის პრეზიდენტის მიერ, მისი თანამდებობაზე დანიშვნის მომენტიდან ავტომატურად წარმოადგენს გამგეობის წევრს. აღმასრულებელ დირექტორს გამგეობის წევრობის სტატუსი უნარჩუნდებათ ახალი პრეზიდენტის არჩევამდე.

19.3 პრეზიდენტი მიმართავს სსიპ საჯარო რეესტრს და მოითხოვოს დანიშნული აღმასრულებელი დირექტორის გამგეობის შემადგენლობაში და აღმასრულებელი დირექტორის პოზიციაზე *„მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში* რეგისტრაცია.

19.4 მოქმედი აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლება ან/და ახალი აღმასრულებელი დირექტორის დანიშვნა გამგეობის წევრად ხორციელდება იგივე წესით. პრეზიდენტს უფლება აქვს მიმართოს სსიპ საჯარო რეესტრს განთავისუფლებული აღმასრულებელი დირექტორის გამგეობის შემადგენლობიდან ამორიცხვისა და ახლად დანიშნული აღმასრულებელი დირექტორის *„მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში* რეგისტრაციის შესახებ..

19.5 გამგეობა საკუთარი შემადგენლობიდან გამგეობის უფლებამოსილების ვადით ღია კენჭისყით უბრალო უმრავლესობით ირჩევს თავმჯდომარეს, რომელიც ხელმძღვანელობს გამგეობის სხდომებს.

მუხლი 20. გამგეობის არჩევა

20.1. გამგეობის წევრად ვერ აირჩევა პირი, ვინც ადრე ნასამართლევი იყო განზრახი ან გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისთვის, ან/და თუ მის მიმართ, რაგბის წესების უხეში დარღვევისთვის შეფარდებული ქონდა ან/და აქვს დისციპლინური სანქცია.

20.2. კავშირის პრეზიდენტობის კანდიდატი საერთო კრებას, დასამტკიცებლად წარუდგენს გამგეობის წევრობის ხუთ (5) კანდიდატს.

20.3. პრეზიდენტის არჩევის შემთხვევაში, გამგეობის წევრის პოზიციაზე საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მიზნით პირდაპირ წარადგენს აღმასრულებელ დირექტორს.

20.4. ამ წესდების პუნქტი 19.1.1.-ის შესაბამისად, გამგეობის წევრობის ხუთი (5) კანდიდატის დასახელების უფლება აქვთ ხმის უფლების მქონე წევრებს, იმ რაგბის კლუბებს და გუნდებს რომლებიც არ მონაწილეობენ ერთმანეთის მართვაში, შემდეგი წესით: ერთი (1) კანდიდატის წარდგენის უფლება აქვთ ხმის უფლების მქონე სულ ცოტა ორი (2) წევრისგან შემდგარ საინიციატივო ჯგუფს, კავშირის გამგეობისთვის საერთო კრების თარიღამდე სულ ცოტა ათი (10) დღით ადრე წერილობით.

20.5. ამ წესდების 19.1.5. პუნქტის შესაბამისად გამგეობის წევრობის კანდიდატის დასახელება ხორციელდება, საერთო კრების თარიღამდე კავშირის გამგეობისთვის სულ ცოტა ათი (10) დღით ადრე წერილობითი მიმართვის გზით.

20.6. პუნქტი 19.1.1.-ის შესაბამისად, გამგეობის წევრობის კანდიდატების დასახელების მიზნით, ხმის უფლების მქონე წევრები შეზღუდულები არიან მხოლოდ ერთ (1) საინიციატივო ჯგუფში მონაწილეობით.

20.7. პუნქტი 19.1.1.-ის შესაბამისად, თუ საერთო კრების მოწვევამდე, ხმის უფლების მქონე წევრები, წინამდებარე წესდებით დადგენილ ვადაში წარადგენენ გამგეობის წევრობის ხუთ (5) კანდიდატზე ნაკლებს, გამგეობის წევრობის დარჩენილ ასარჩევ (დასამტკიცებელ) კანდიდატებს, მომდევნო დღიდან ხუთი (5) კალენდარული დღის ვადაში წარადგენს პრეზიდენტი.

20.8. თუ საერთო კრების მოწვევამდე, პუნქტი 19.1.5. აღნიშნული პირები, წინამდებარე წესდებით დადგენილ ვადაში ვერ წარადგენენ გამგეობის წევრობის კანდიდატს, გამგეობის წევრობის შესაბამის დასამტკიცებელ კანდიდატს, შესაბამისი ვადის ამოწურვის მომდევნო დღიდან ხუთი (5) კალენდარული დღის ვადაში წარადგენს პრეზიდენტი.

20.9. ამ წესდების 19.1.1. პუნქტში მითითებული ასარჩევ კანდიდატებს ფარული კენჭისყრით ერთიანი შემადგენლობით ირჩევს საერთო კრება. ხმის მიცემა ხორციელდება შემდეგი წესით: ხმის უფლების მქონე ყველა დამსწრე წევრს ურიგდება მათი ხმების შესაბამისი რაოდენობის ბიულეტინი, სადაც მითითებული იქნება გამგეობის არჩევნებში მონაწილე ყველა კანდიდატი. ხმის უფლების მქონე წევრი ვალდებულია კანდიდატთა სიიდან შემოხაზოს ბიულეტინში მისთვის სასურველი არაუმეტეს ხუთი კანდიდატი, წინააღმდეგ შემთხვევაში ბიულეტინი ჩაითვლება გაბათილებულად. გამარჯვებულად ჩაითვლება გამგეობის წევრობის ის ხუთი კანდიდატი, რომლებიც სხვა კანდიდატებთან შედარებით მოიპოვებენ დამსწრე ხმის უფლების მქონე წევრთა ხმათა უმრავლესობას. თუ გამგეობის კანდიდატები დააგროვებენ ხმათა თანაბარ რაოდენობას, უპირატესობა ენიჭება იმ კანდიდატს ვისაც მეტმა სუბიექტმა (ხმის უფლების მქონე წევრმა) დაუჭირა მხარი. ამ შემთხვევაშიც, გამგეობის წევრების პირველი ხუთი ადგილიდან ერთ ან/და რამდენიმე ადგილზე ხმების თანაბრად განაწილებისას, თანაბრად მიღებული ხმების მქონე კანდიდატებს შორის იმავე დღეს ინიშნება მეორე ტური და გამარჯვებულად ჩაითვლება ის კანდიდატი რომელიც მოიპოვებს ასეთ დამატებით არჩევნებში მიღებულ ხმათა უმრავლესობას.

20.10. ამ წესდების პუნქტი 19.1.2.-ის შესაბამისად, პრეზიდენტის მიერ წარდგენილი გამგეობის წევრობის კანდიდატებიდან ერთერთი პასუხისმგებელი იქნება საქართველოს ეროვნულ ნაკრებთან კომუნიკაციაზე.

მუხლი 21. გამგეობის უფლებამოსილებები და ვალდებულებები

21.1. გამგეობა წესდებით განსაზღვრულ შემთხვევებში ასრულებს კავშირის მართვის ფუნქციებს და ახორციელებს საერთო კრებებს შორის პერიოდში ზედამხედველობას პრეზიდენტის მიერ საერთო კრების და გამგეობის გადაწყვეტილებისა და წესდების მოთხოვნათა შესრულებაზე. გამგეობა ანგარიშვალდებულია მხოლოდ საერთო კრების წინაშე.

21.2. გამგეობა ვალდებულია კვარტალში ერთხელ შეამოწმოს პრეზიდენტის მიერ საერთო კრების გადაწყვეტილების შესრულება და მიმდინარე ფინანსური ანგარიში.

21.3. გამგეობის განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება, პრეზიდენტთან კონსულტაციით, შემდეგი გადაწყვეტილებების მიღება:

ა) საწევრო შენატანების ოდენობების დადგენა და შეცვლა;

ბ) კავშირის მონაწილეობა სხვადასხვა საწარმოებში;
გ) უძრავი ქონების შეძენა და გასხვისება;
დ) ეროვნული პირველობების დებულებების დამტკიცება;
ე) ეროვნულ ნაკრებთა მწვრთნელების დამტკიცება;
ვ) პრეზიდენტთან შეთანხმებით, სამეურნეო წლის განმავლობაში საერთო კრების მიერ დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა ბიუჯეტით დამტკიცებულ პრიორიტეტებში ცვლილებების შეტანის გარეშე;
ზ) წესდების ცვლილებების, დამატებების ან/და ახალი რედაქციის ინიცირება საერთო კრებაზე დასამტკიცებლად;
თ) ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გრანტების გაცემა;
ი) კავშირის საერთო კრების, გამგეობის კრების ან სხვა კრების ელექტორნული კომუნიკაციის საშუალებით ჩატარების წესის განსაზღვრა;
კ) კავშირში ფრანჩიზის კლუბის შექმნაზე და მართვაზე გადაწყვეტილების მიღება;
ლ) ნებისმიერ სხვა საკითხზე გადაწყვეტილების მიღება, რაც არ შედის კავშირის წევრთა საერთო კრების კომპეტენციაში.

21.4. გამგეობა ღებულობს გადაწყვეტილებას რიგგარეშე საერთო კრების მოწვევასთან დაკავშირებით.

21.5. წინამდებარე წესდების 21 მუხლის 21.3. პუნქტის „ე)“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკითხის განხილვისას, თუ შეთანხმება პრეზიდენტსა და გამგეობას შორის კონკრეტულ საკითხზე ორგზის ვერ იქნა მიღწეული, პრეზიდენტი უფლებამოსილია ერთპიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილება.

21.6. გამგეობა თავისი გადაწყვეტილებით ანაწილებს გამგეობის წევრთა შორის ფუნქციებს და შესაბამისად გამგეობის წევრთა ანგარიშგების პერიოდსა და ფორმას.

21.7. გამგეობა ისმენს და ამტკიცებს პრეზიდენტის, აღმასრულებელი დირექტორის, დირექტორების ანგარიშებს, აძლევს რეკომენდაციებს პრეზიდენტს, ორგანიზებას უწევს კავშირის საერთო კრების მოწვევას, ამტკიცებს საერთო კრების დღის წესრიგს, განსაზღვრავს კრების საერთო რეგლამენტს, ასარჩევ კანდიდატთა განცხადების წარდგენის და კენჭისყრაში ხმის მიცემის პროცედურას, არეგისტრირებს ხმის უფლების მქონე წევრების საინიციტივო ჯგუფის მიერ წარდგენილ გამგეობის კანდიდატებს, ასევე, პრეზიდენტის მიერ მოწოდებული ცნობის საფუძველზე ამტკიცებს კავშირის ხმის უფლების მქონე წევრთა პრემიალურ ხმებს.

21.8. გამგეობა უფლებამოსილია დაამტკიცოს „საქართველოს რაგბის ქომაგი“-ს სტატუსის მინიჭების წესი და პრივილეგიები, იმ პირთათვის ვინც მხარს უჭერს კავშირის მიზნებს, ეთანხმებიან და აღიარებენ კავშირის წესდებას.

21.9. გამგეობის წევრი გამგეობის სხდომაზე ვერ ისარგებლებს ხმის უფლების იმ შემთხვევაში, თუკი განსახილველი საკითხი ეხება მას ან მის ოჯახის წევრს, ან სხვაგვრად წარმოადგენს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევას.

მუხლი 22. გამგეობის სხდომა

22.1. გამგეობის სხდომები მოიწვევა გამგეობის თავმჯდომარის, პრეზიდენტის ან გამგეობის არანაკლებ ორი წევრის მიერ, სულ მცირე თვეში ერთხელ მაინც გამგეობის რეგლამენტით დადგენილი წესით.

22.2. გამგეობა გადაწყვეტილებაუნარიანია თუ მას ეწსრება სულ მცირე შვიდი (7) წევრი მაინც. გადაწყვეტილებები გამგეობის სხდომაზე მიიღება დამსწრე წევრთა

უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება გამგეობის თავჯდომარის ხმას.

მუხლი 23. გამგეობის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა

23.1. გამგეობის წევრის გარდაცვალების, ქმედუნარიანობის დაკარგვის, ხანგრძლივი ავადმყოფობის ან საკუთარი განცხადების საფუძველზე გამგეობიდან გასვლის შემთხვევაში, თუ ასეთი გამგეობის წევრი არ არის 19.2. პუნქტში მითითებული პირი, მის ნაცვლად მორიგი საერთო კრების მიერ აირჩევა/დამტკიცდება ახალი წევრი.

23.2. იმ შემთხვევაში, თუ გამგეობის წევრთა რაოდენობა არის შვიდზე (7) ნაკლები, გამგეობის წევრთა არჩევის მიზნით გამგეობა ნიშნავს საერთო კრებას. საერთო კრებაზე აირჩევა იმდენი წევრი და იმ ვადით, რამდენ გამგეობის წევრსაც და რა ვადითაც შეუწყდა უფლებამოსილება. საერთო კრებაზე გამგეობის წევრთა არჩევნების მიმართ მოქმედებს იგივე წესები, რაც გამგეობის ჩვეულებრივი წესით არჩევნებისას. .

თავი V. კავშირის პრეზიდენტი და აღმასრულებელი დირექტორი

მუხლი 24. პრეზიდენტი

24.1.პრეზიდენტი არის კავშირის უმაღლესი აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი პირი. იგი წარმოადგენს კავშირს მესამე პირებთან სამართლებრივ ურთიერთობებში, თავის კომპეტენციის ფარგლებში.

24.2.პრეზიდენტი ანგარიშვალდებულია გამგეობისა და საერთო კრების წინაშე.

24.3.პრეზიდენტი თავისი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში არის კავშირის გამგეობის წევრი.

მუხლი 25.პრეზიდენტის არჩევა

25.1.პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის უფლება აქვთ ხმის უფლების მქონე სულ ცოტა 3 (სამი) წევრისგან შემდგარ საინიციატივო ჯგუფს.

25.2.პრეზიდენტის არჩევა საერთო კრებაზე ხორციელდება ფარული კენჭისყრით შემდეგი წესით:

ა) პრეზიდენტობის ორი კანდიდატის შემთხვევაში, გამარჯვებულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მოიპოვებს ხმების უმრავლესობას.თუ კანდიდატები დააგროვებენ ხმათა თანაბარ რაოდენობას, უპირატესობა ენიჭება იმ კანდიდატს ვისაც მეტმა სუბიექტმა (ხმის უფლების მქონე წევრმა) დაუჭირა მხარი.

ბ) სამი ან მეტი პრეზიდენტობის კანდიდატის არსებობის შემთხვევაში, გამარჯვებულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მოიპოვებს ხმის უფლების მქონე დამსწრე წევრთა ხმების ნახევარზე მეტს. თუ ვერცერთი კანდიდატი ვერ მიიღებს ხმების აღნიშნულ რაოდენობას, იმავე კრებაზე ინიშნება მეორე ტური, სადაც მონაწილეობას მიიღებს ის ორი კანდიდატი, რომლებმაც პირველ ტურში მიიღეს ყველაზე მეტი ხმა. მეორე ტურში გამარჯვებულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მოიპოვებს ხმების უმრავლესობას.თუ კანდიდატები დააგროვებენ ხმათა თანაბარ რაოდენობას, უპირატესობა ენიჭება იმ კანდიდატს ვისაც მეტმა სუბიექტმა (ხმის უფლების მქონე წევრმა) დაუჭირა მხარი.

25.3.კავშირის პრეზიდენტი აირჩევა ოთხი (4) წლის ვადით. ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეზიდენტს უფლებამოსილება უნარჩუნდება საერთო კრების მიერ ახლად

არჩეული პრეზიდენტის *„მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში“ რეგისტრაციამდე.*

25.4. ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს კავშირის პრეზიდენტად ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

მუხლი 26. პრეზიდენტის უფლებამოსილებები

26.1. პრეზიდენტის კომპეტენციას განეკუთვნება:

ა) კავშირის საქმიანობის ხელმძღვანელობა და კავშირის წარმომადგენლობა მესამე პირებთან ქვეყნის შიგნით და საგარეო ურთიერთობებში;

ბ) კავშირის აღმასრულებელი დირექტორის დანიშვნა და განთავისუფლება;

გ) კავშირის აღმასრულებელი აპარატის სტრუქტურისა და შინაგანაწესის, კავშირის მმართველი ორგანოების დებულებების პროექტების მომზადება და გამგეობისთვის წარდგენა დასამტკიცებლად;

დ) დირექტორების მუშაობის წარმართვა და დირექტორების მიერ წარმოდგენილი პროექტებისა და წინადადებების დამტკიცება;

ე) დირექტორების, კომისიების და სათათბირო ორგანოების თავმჯდომარეების დანიშვნა;

ვ) ნებისმიერი სხვა უფლებამოსილების განხორციელება, რაც არ შედის საერთო კრების ან/და გამგეობის კომპეტენციაში.

26.2. პრეზიდენტი უფლებამოსილია გამგეობასთან შეთანხმებით მიიღოს გადაწყვეტილებები საერთო კრების მიერ დამტკიცებული წლიური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებულ ფარგლებში.

26.3. პრეზიდენტი აწარმოებს კონსულტაციებს გამგეობასთან ამ უკანასკნელის მიერ ამ წესდების 21.3 პუნქტით განსაზღვრულ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღებამდე.

26.4. პრეზიდენტი გამოსცემს ბრძანებებს.

26.5. პრეზიდენტი საკუთარი უფლებამოსილების ვადით ერთპიროვნულად ნიშნავს აღმასრულებელ დირექტორს.

მუხლი 27. პრეზიდენტის პასუხისმგებლობა

27.1. პრეზიდენტი მონაწილეობს საერთო კრების მუშაობაში და წარუდგენს კრებას წლიურ ანგარიშს.

27.2. პრეზიდენტი არის გამგეობის წევრი. იგი ანგარიშვალდებულია, როგორც საერთო კრების, ასევე გამგეობის წინაშე. პრეზიდენტი ყოველკვარტალურად წარუდგენს გამგეობას მიმდინარე საქმიანობის ანგარიშს.

მუხლი 28. პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი

28.1 პრეზიდენტის არყოფნისას, პრეზიდენტის გადადგომის, უფლებამოსილების ვადამდე შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევაში, საერთო კრების მიერ ახალი პრეზიდენტის არჩევამდე და *მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში* რეგისტრაციამდე, მის მოვალეობას ასრულებს აღმასრულებელი დირექტორი.

მუხლი 29. აღმასრულებელი დირექტორი

29.1. წინამდებარე წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, აღმასრულებელ დირექტორს ასევე ენიჭება კავშირის ხელმძღვანელობის/წარმომადგენლობითი უფლებამოსილება და ის

რეგისტრირდება „მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ამ პუნქტის მიზნებისთვის, აღმასრულებელი დირექტორი და პრეზიდენტი კავშირს წარმოადგენენ ცალცალკე.

29.2. აღმასრულებელი დირექტორი ხელმძღვანელობს კავშირის დირექტორების და სათათბირო ორგანოს საქმიანობას.

29.3. აღმასრულებელი დირექტორი დანიშვნისთავანე ავტომატურად ხდება გამგეობის წევრი.

29.4. აღმასრულებელი დირექტორი ანგარიშვალდებულია პრეზიდენტის წინაშე.

29.5. აღმასრულებელი დირექტორი ინიშნება პრეზიდენტის მიერ, პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადით პრეზიდენტის ბრძანებით.

მუხლი 30. აღმასრულებელი დირექტორის უფლებამოსილებები

30.1. აღმასრულებელი დირექტორის კომპეტენციას წარმოადგენს:

ა) კავშირის ყოველდღიური საქმიანობის ხელმძღვანელობა;

ბ) კავშირის ხელმძღვანელობა გამგეობის მიერ დამტკიცებული პროექტების და გეგმების მართვა და ზედამხედველობა;

გ) დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულების უზრუნველყოფა;

დ) სამინისტროსთან ან/და სხვა დონორ ორგანიზაციებთან კავშირის ანგარიშვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა;

ე) დირექტორების, კომისიების და სათათბირო ორგანოების საქმიანობის, მათ შორის, საერთო კრების ან/და გამგეობის მიერ მათთვის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებაზე ზედამხედველობა და ხელმძღვანელობა;

ვ) პრეზიდენტთან შეთანხმებით კავშირის დირექტორების სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლების დანიშვნა/გათავისუფლება;

ზ) ნებისმიერი სხვა უფლებამოსილების განხორციელება, რაც არ შედის საერთო კრების, გამგეობის ან/და პრეზიდენტის კომპეტენციებში.

თ) პრეზიდენტის ბრძანებით სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

თავი VI. კავშირის დირექტორები, კომისიები, სათათბირო ორგანო

მუხლი 31. კავშირის დირექტორები

31.1. კავშირის ყოველდღიური საქმიანობის მიმართულებების გათვალისწინებით იქმნება დირექტორების პოზიციები, რომელთა საქმიანობის წესს პრეზიდენტის წარდგინებით ამტკიცებს გამგეობა. დირექტორებს შეიძლება ჰყავდეთ მათზე სტრუქტურულად დაქვემდებარებული ერთეულები.

31.2. დირექტორები და მათდამი დაქვემდებარებული პირები მონაწილეობენ კავშირის მართვაში ამ წესდებით და შიდა რეგულაციებით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში.

31.3. დირექტორები ინიშნებიან პრეზიდენტის მიერ. ისინი ანგარიშვალდებულნი არიან პრეზიდენტის წინაშე.

მუხლი 32. კავშირის კომისია

32.1. საჭიროებიდან გამომდინარე, პრეზიდენტის გადაწყვეტილებით შეიძლება შეიქმნას მუდმივმოქმედი და დროებითი კომისიები ან/და საბჭოები კონკრეტული პრობლემატური საკითხების ირგვლივ, რომელთა მუშაობა განისაზღვრება ამ წესდების 31.1. პუნქტით გათვალისწინებული წესით დამტკიცებული რეგულაციებით.

მუხლი 33. კავშირის სათათბირო ორგანო

33.1. პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, რაგბის განვითარებისა თუ სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად შეიძლება შეიქმნას სათათბირო ორგანო, რომელშიც შევლენ ვეტერანი სპორტსმენები, საზოგადო მოღვაწეები და სხვა. აღნიშნულ სათათბირო ორგანოს დებულებას, პრეზიდენტის წარდგინებით ამტკიცებს გამგეობა.

33.2. სათათბირო ორგანოს მსჯელობებს და მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს არ გააჩნიათ სავალდებულო ძალა კავშირის წევრების მიმართ, თუ, პრეზიდენტთან შეთანხმებით, კავშირის გამგეობის გადაწყვეტილებით ასეთ მსჯელობას ან/და გადაწყვეტილებას არ მიენიჭათ სავალდებულო ძალა.

თავი VII. კავშირის საქმიანობა

მუხლი 34. კავშირის ქონება

34.1. კავშირს საკუთრებაში შეიძლება ჰქონდეს ნებისმიერი უძრავი და მოძრავი ქონება.

34.2. კავშირის ქონება იქმნება საწევრო შენატანებით, ნებაყოფლობითი ფულადი და ქონებრივი შემოწირულებით, კავშირის მიერ დაფუძნებული და კავშირის მონაწილეობით შექმნილი საწარმოებიდან მიღებული დივიდენდებით, სახელმწიფო საბიუჯეტო დოტაციითა და სუბსიდიებით, საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებითა და გრანტებით, საშეჯიბრო შემოსავლებით და სარეკლამო მომსახურებიდან შემოსული თანხმებით და სხვა დამხმარე ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებით.

34.3. კავშირის გამგეობა პრეზიდენტის ხელმძღვანელობით განკარგავს კავშირის ქონებას და წარმართავს მის ფინანსურ საქმიანობას საქართველოს კანონმდებლობითა და ამ წესდებით დადგენილი წესით.

34.4. კავშირი უფლებამოსილია ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გასცეს გრანტები კავშირის მიზნების განსახორციელებლად.

მუხლი 35. კავშირის სამეწარმეო საქმიანობა

35.1. კავშირს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა საწარმოებში, თუ ნებისმიერ ასეთ მონაწილეობას ექნება კავშირისთვის დამხმარე ხასიათი და საიდანაც მიღებული მოგება მოხმარდება კავშირის მიზნების განხორციელებას.

35.2. კავშირს უფლება აქვს ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რაც უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ კავშირის მიზნების განხორციელებას.

35.3. კავშირის მოგება უნდა მოხმარდეს კავშირის საწესდებო მიზნების განხორციელებას და არ დაიშვება მისი წევრთა შორის განაწილება.

თავი VIII. კავშირის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

მუხლი 36. კავშირის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის დაწყება

35.1. კავშირის რეორგანიზაცია ხორციელდება კანონმდელობით დადგენილი წესის მიხედვით.

35.2. კავშირის ლიკვიდაცია ხდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) რეგისტრაციის გაუქმებისას;

ბ) თუ კავშირი არსებითად გადავიდა სამეწარმეო საქმიანობაზე;

გ) კავშირის საერთო კრების გადაწყვეტილებით;

დ) სასამართლოს გადაწყვეტილებით.

35.3.ინფორმაცია კავშირის ლიკვიდაციის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს პრესაში.

მუხლი 37. რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შედეგები

37.1. კავშირის ლიკვიდაციის შემთხვევაში უნდა დამთავრდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები. დარჩენილი ქონების მიღებაზე კავშირის საერთო კრების ან სასამართლოს გადაწყვეტილებით უფლებამოსილი პირები არიან:

ა) ანალოგიური ან მსგავსი მიზნის მქონე იურიდიული პირები;

ბ) სახელმწიფო.

37.2. ქონება შეიძლება განაწილდეს გამოქვეყნებიდან ერთი წლის შემდეგ.

თავი IX. ანტი-კორუფციული დათქმა

მუხლი 38. ანტი-კორუფციული დათქმა

38.1. კავშირი, მისი უფლებამოსილი პირები, თანამშრომლები და სუბიექტები ადასტურებენ, რომ:

38.1.1. სრულად იზიარებენ ეროვნული კანონმდებლობით და საერთაშორისო რეგულაციებით დადგენილ ანტი-კორუფციულ პრინციპებს და ხელმძღვანელობენ შესაბამისი სტანდარტებით;

38.1.2. თავიანთ საქმიანობაში არ განახორციელებენ კორუფციულ ქმედებას, რაც გულისხმობს პირდაპირ ან არაპირდაპირ, წერილობით თუ ზეპირსიტყვიერად, ფულისა თუ სხვა მატერიალური ნივთის (საჩუქრის) სანაცვლოდ ისეთი ქმედების განხორციელებას ან ქმედების გამხორციელებისგან თავის შეკავებას, რაც მიზნად ისახავს კომერციულ მოსყიდვას ან არასათანადო უპირატესობის მოთხოვნას, შეთავაზებას, მიცემას, მიღებას ან ამგვარი უპირატესობის დაპირებას;

38.1.3. იღებენ ვალდებულებას კორუფციული ქმედებების შესახებ ინფორმაციის მოპოვების შემთხვევაში მიიღონ შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ზომა ამგვარი ქმედებების აღმოსაფხვრელად.

თავი X. დავების გადაწყვეტა

მუხლი 39. დავების გადაწყვეტა

39.1.ამ წესდებით კავშირის წევრებსა და კავშირს, ასევე ხელმძღვანელ პირებსა და კავშირს შორის ნებისმიერი დავა ან/და უთანხმოება უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოებში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

39.2.კავშირისა და მესამე პირებს შორის წარმოშობილი დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.